

იღია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის
ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხელნაწერის უფლებით

ნატალია სურგულაძე

ზორბითა და ანიალურ სომატიზმთა
შემცველი შრაზეოლოგიზმები
შრაგულ და ქართულ მემაში

10.02.05 – რომანული ენები

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორ ეფერატი

თბილისი
2004

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რომანულ-გერმანულ ფილოლოგიის კათედრაზე.

სამეცნიერო
ხელმძღვანელი:

ციური ახვლედიანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

- თყიციალური თბილენტები:
- ქეთევან ჯაში
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.02.04)
 - რუსული მეგრელიმვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი (664)

დისერტაციის დაცვა შედგება „.....“ 2004წ. „.....“
საათზე.


იღია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის
სახელმწიფო უნივერსიტეტის P10.01.№ 1 სადისერტაციო საბჭოს
სხდომაზე.

მისამართი: 0162, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. № 45
დისერტაციის გაცნობა შეიძლება იღია ჭავჭავაძის სახელობის
თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ავტორული დაიგბავნა „.....“ 2004 წ.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი,

პროფესორი



ლ. გვასალია

ნაშრომის მოგადი დახასიათება

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ბოონიმთა და ანიმალურ სომაგიზმთა შემცველ ფრაგმენტოგიურ ერთეულთა
კვლევას, ტიპოლოგიურ-შეპირისპირებით პლანში, მათი
ფუნქციურ-სემანტიკური როლის შესწავლას ფრანგულსა
და ქართულ ენებში.

თემის აქტუალურობა – დისერტაცია პირველი ნაშრომია, რომელშიც მოცემულია ბოონიმებისა და „ანიმალური სომაგიზმების“ შესწავლის ცდა ლინგვოკრეაციულ
აზროვნებასა და სამყაროს დეონტიკურ სურათთან მიმართებაში; სამყაროს ენობრივ სურათში ლინგვოკრეაციული
აზროვნება თითქოსდა ერთ სიბრტყეზე აყენებს ადამიანს
და ცხოველს, ამასთან იყენებს ერთსა და იმავე ლექსიკურ
საშუალებებს ცხოველის ქცევისა და ადამიანის შინაგანი
სამყაროს ან მისი ქცევის ემოციური მახასიათებლის აღწერისათვის. ყურადღესადები აღმოჩნდა „ანიმალური სომაგიზმების“ კვლევა, რომლებიც თავისი შინაგანი ფორმით
თითქოსდა აფიქსირებენ „სცენებს“ ცხოველთა ცხოვრებიდან, რომლებშიც გარკვეული შინაგანი მდგომარეობა
გამოიხატება ცხოველის პოზით. ამასთან თითქოსდა იქმნება ანალოგია ადამიანის შინაგან მდგომარეობასთან.

თემის აქტუალურობად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ნაშრომში მოცემულია როგორც ფრანგულ, ასევე ქართულ ენაში ბოონიმებისა და „ანიმალური სომაგიზმების“ კვლევა
როგორც ფუნქციურ-სემანტიკურ, ასევე შეპირისპირებით – ტიპოლოგიურ პლანში.

არამონათესავე ენების ფრაგმენტოგიური სისტემების
შეპირისპირებითი კვლევისას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სემანტიკურ და ფუნქციურ ასპექტებს, ვინაიდან ფრაგმენტოგიური სტრუქტურული თანხ-